შემოსავლების
სამსახური

ელ. ფოსტა: info@rs.ge
ვებ საიტი: www.rs.ge
გაფორმების დეპარტამენტი

73430-21-09-2-201211081522

N 21-09/73430

08/11/2012

შპს სამშენებლო კომპანია „კონსტანტა“-ს

დირექტორს ბატონ ავთანდილ კაპანაძეს

მის: თბილისი ნუცუბიძის ქუჩა 215 ბინა 27

ბატონო ავთანდილ,

2009 წლის 09 იანვარს თქვენი ფირმის სახელზე ჩამოვიდა ჩინეთიდან გამოგზავნილი საქონელი - შავი რკინის მავთულები და ლითიონის ბადეები (კონტეინერი MSCU5673443, კონოსამენტი MSCUXH199890). საქართველოს საბაჟო კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად საქონლის ზოგადი დეკლარირებიდან 45 დღეში გევალებოდათ განგეხორციელებინათ საქონლის საბაჟო რეჟიმში მოქცევა, რაც თქვენს მიერ არ იქნა შესრულებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მითითებული ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად ან საქონლის რეექსპორტისათვის გეძლევათ 10 დღის ვადა (წერილის მიღებიდან). წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს მიმართ გატარდება კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებები, კერძოდ საქონლის განკარგვა საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად.

დანართი: 3 ფურცელი.

პატივისცემით,

დავითი კლიმენკო

გაფორმების ეკონომიკური ზონის უფროსის მოადგილე

გაფორმების ეკონომიკური ზონა " ფოთი"

ქ. თბილისის შემოსასვლელი, გზის 36-ე კმ., გარდაბნის რ-ნ, სოფ მარტყოფი
ტელ: +995 (32) 226 28 11, +995 (32) 226 28 15
სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის 106-ე კმ., აბაშის მუნიციპალიტეტი
ფოთის საზღვაო ნავსადგური, ფოთის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონა
ტელ: +995 (32) 226 28 58